№ 150. 2 აგვისტო, სამშაბათი. 1866—1883 2 აგვისტო, სამშაბათი. № 150.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზედ"

პირველის აგვისტოდამ წლის დამლევამდე. ფასი ოთხი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის სამი მანათი.

«დროების» ნომრები თითო-შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, გაბო ბაშაროვთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, აღალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## კერძო ტელეგრამები.

**სიღნაღიდამ.** «დროების» რედაქციას. სიღნაღის საზოგადოებამ დიდის მწუხარებით მიიღო ამბავი ძვირფასის სერგეი მესხის გარდაცვალებისა. დღეს პანაშვიდი გადავიხადეთ, მღვდელმა გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. გთხოვთ გადასცეთ ჩვენი საერთო გულითადი მწუხარება განსვენებულის მეუღლესა და ნათესავებს.

**ოზურგეთიდამ.** «დროების» რედაქციას: დღეს ეკლესიაში მოქალაქეთა და ზოგიერთა სამსაჯულო უწყების პირთა თანადასწრებით გადავიხადეთ პანაშვიდი სერგეი მესხის მოსახსენებლად.

**იაროსლავიდამ,** დრ. რედაქციას. იაროსლავლის ლიცეის ქართველი სტუდენტები უზომოდ შეგვაწუხა სერგეი მესხის გარდაცვალებამ.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

30 ივლისს.

**ბარცელონა.** მოხდა არეულობა სიო-დე-ურგელში, სადაც ჯარები გაიგზავნა; ბარცელონის გარნიზონსაც აღელვება ეტყობა; სანტონში სისხლის სამართლის ტუსაღებს შორის არეულობა მოხდა, მაგრამ მაშინვე დაამშვიდეს; სანტანდერის გუბერნატორმა მიიღო ზომები იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა გარნიზონი აჯანყდა. გენერალმა კვეზადამ დაიჭირა ლავრონის პროვინციის გზები, რომელშიაც კარალისტების ემისრები გამოჩნდენ.

**პეტერბურღი.** გაზეთები ამბობენ, ვითომც გზათა სამინისტროს შეემუშავებინოს წესები რკინის გზებისათვის, თუ როგორ უნდა ატარონ სანიტარულის ნაწილის პასაჟირები და როგორ უნდა გასწმინდონ დეზინფექციით სტანციები და ვაგონები, თუ ვინიცობაა, ხოლერა გამოჩნდა.

შესდგა კომისია ფინანსთა, სახელმწიფო ქონებათა და გზათა სამინისტროს წარმომადგენელთაგან, რათა გაისინჯოს თხოვნები სამხრეთ-რუსეთში, თუ რად იყვნენ მოსკოვისკენ და პოლშაში მთის ზავოდების მქონეთა და ნახშირის-მწარმოებელთა კრებათაგან წარმოდგენილნი', მასზედ რომ ტამოჟნის ბაჟი მოემატოს თუჯსა და დაედოს სამზღვარ-გარეთულ ქვა-ნახშირს. კომისია გასინჯავს აგრეთვე ფოლადის რელსების წარმოების საქმეს და ბაჟის შეცვლისას ცინკზედ, რკინის მადანზედ და გამოწთობილ აგურზედ.

**ვენა.** ერთის გაზეთის კონფისკაციის გამო, რომელიც მუშების ორგანოთ ირიცხებოდა, ამ უკანასკნელებმა პოლიციის შენობის წინ დემონსტრაცია მოახდინეს, რომელსაც მალე ზედ მოჰყვა ამგარა აჯანყება. ამ დროს პოლიციის უფროსს ქვების სროლა დაუწყეს; ოთხი პოლიციელი დაიჭრა; 38 მუშა დაატყვევეს, 11 დაიჭრა; საღამოს, 10 საათზე უკან დაწეულის პოლიციის ადგილი ჯარებმა დაიჭირეს.

**პარიჟი.** მადაგასკარში მიდიან ჯარები მისაშველებლად; კუნძულის სატახტო ქალაქის ტანანარივის დაჭერას არა ფიქრობენ. ესპანიიდამ მოსულ ამბებიდამ სჩანს, რომ ბარცელონაში მუშები აჯანყებულან; ფაბრიკები დაკეტილია; აჯანყებულები ჯარებმა ქალაქს გარეთ გადევნეს. კატალონიაში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა.

**ალექსანდრია.** უკანასკნელს ოცდა-ოთხს საათში აქ 22 კაცი მოკვდა ხოლერით, კაიროში 39, დანარჩენს ეგიპტეში 734.

**პეტერბურღი.** დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე გუშინ წავიდა სამზღვარ გარეთ თავის შვილით გიორგი მიხეილისძი-თურთ. გამოჩენილი მოგზაური პრჟევალსკი ამ დღეებში მიდის კიდევ აზიის ხრიოკ ადგილებში სამეცნიერო მოგზაურობისთვის; 29 ივლისს გამოეთხოვა ის ხელმწიფე იმპერატორს და მემკვიდრე ცესარევიჩს; უკანასკნელმა აჩუქა მას ჩინებული დურბინდი; პრჟევალსკი კიახტაში იქნება სეკტემბრის 10 რიცხვამდის და სეკტემბრის გასულს გავა მონგოლიის სამზღვარს. 18 კაცი შეადგენს ექსპედიციას, რომელიც გაგრძელდება ორ წლამდის. ტურგაის მაზრის სამხედრო გენერალ-გუბერნატორი გენერალ-მაიორი კონსტანტინოვიჩი დანიშნულია ბესარაბიის გუბერნატორად.

---

«დროების» ფელტონი, 2 აგვისტო.

## ბათუმის სურათები.

### I

აი ესეც ის რკინის გზა, რომელსაც ბათუმელები გულის ძგერით მოელოდენ! გძელი, ერთმანერთს გადაბმული ოთახები მოგორავენ გასწრაფებით. ფანჯრებში მოჩანან კოხტად მოკაზმული ქალები, წმინდად ჩაცმული კაცები; იმათ შორის ბჭყვრიალებს ექსილბანტები, პაგონები, გაწმენდილი და დაწმენდილი ცილინდრები, ყოველ გვარი შლიაპები და ფურაჟკები; შიგ ჩარევიათ ჩვენებური ქუდები და პოეზიით სავსე ყაბალახები, რომელიც ისე ამშვენებს გურულების ფერმკრთალს, მაგრამ სიცოცხლით სავსე პირისახეს.

×

აგერ მაცდურად გამოიყურება ვიღაცა წერწეტი ქალის ჟუჟუნა თვალები, რომელიც გიღიმის, გიალერსებს და თითქოს გეუბნება: «მიცქირე, დასტკბი, შემიძლიან მოგანიჭო ამ ქვეყნიური სამოთხე!»

×

ამათ შორის, თითქოს მეტის კონტრასტისთვის გამოიყურება მსუქანი, გასიებული, ღმერთმა იცის რა რჯულის და რა ქვეყნის კაცი. თვალებს გაუმაძღრად აცეცებს, უყურებს აქეთ-იქით, წყნარად სწევს სიგარას, დარწმუნებულია, რომ ჩქარა ჩავა ღვთისაგან ხელ-აღებულს ქალაქში და წურბელასავით მოეკიდება სისხლის საწოვრად.

×

მოჩანს საწყალი, გაყვითლებული, დაღალული და დაღონებული მუშა კაცის სახე. სამუშაოდ მიდის, მიდის იმისთვის, რომ მშრალის მჭადის ლუკმით სული მოიბრუნოს; დარწმუნებულია, რომ ამის მეტს ვერას იშოვის, მაგრამ ზოგისთვის მშრალი მჭადიც ღვთის წყალობაა!

×

მატარებელი მიდის და მიდის, ლოკომოტივი ფშვინავს, კვნესის, უსტვენს, არის ერთს მოუსვენებლობაში!.. მუშა ხალხს თუმცა ბევრისა არა, მაგრამ ლუკმა პურისა მაინც იმედი აქვს. იმედი რაოდენადმე სიცოცხლეს უღვივებს და ისინიც უერთდებიან საზოგადო მხიარულებას.

მიახლოვდენ ბათუმს; შევიდენ ქალაქშიაც!.. აქამდის ნელა მოსიარულე რკინის გზამ ეხლა გაუჩქარა, თითქოს უნდა დაამტკიცოს, რომ იმას ჯერ ძალ-ღონე არ მოჰკლებია.

— უყურეთ, უყურეთ! იძახის ერთი,—შუაგულ ქალაქზედ მივდივართ!

— მერე რა არის? უპასუხებს ვიღაც სიგარიანი კაცი.

— მერე ისა, ჩემო ბატონო, რომ შეიძლება—უბედურება რამ მოხდეს.

— მითომ რათარ?

— ხალხი, საქონელი, ურმები დადის, მატარებელს ადვილად შეუძლიან, გასრისოს ვინმე.

— თვალები იმისთვისა აქვთ, რომ მოეცალონ.

— მართალია, მაგრამ შეიძლება, კაცი ან დაფიქრებული იყოს, ან რითიმე გართული და ვერ შეამჩნიოს... განა არ შეიძლებოდა ვოგზალი ქალაქ გარეთ გაეკეთებინათ?

— თქვენ პოლიტიკისა- სრულიად არა გესმით-რა! თქვენ არ გაგეგებათ განათლების მოთხოვნილება, ჩაუმატა ისევ სიგარიანმა კაცმა... აწმყო მდგომარეობა ითხოვს, რომ ვაჭრობას ყოველ გვარად ხელი შეეწყოს, ყოველი გვარი შემწეობა მიეცეს... როდესაც შინაგანი ვაჭრობა მაღლა დგას, მაშინ სახელმწიფოც ძლიერდება და სხვა სამეფოებთან კონკურენცია შეუძლიან... ამისთვის, მოწყალეო ხელმწიფევ, ორიოდე ოხერი თუ გაისრისა, ღირს იმათზედ ზრუნვა?.. დაებრიცა მოლაპარაკეს სიგარიანი და ცოტა შემდეგ განაგრძო: ეხლა რკინის გზა ზედ ნავთსადგურზედ მიდის, გემებიდგან საქონელი პირ-და-პირ ვაგონებზედ გადმოაქვთ და ვაჭრებისთვის ეს დიდი შეღავათია... გაიგეთ? მაგასთან ესეც უნდა ვთქვა, რომ რამდენი ხანია; რაც რკინის გზა მუშაობს, მაგრამ არავინ გაუტანია.

— ჯერ ხალხი ცოტა გახლავს, მაგრამ ბათუმი წლობით-კი არა, დღეობით იზდება, ხალხი რომ გამრავლდება, მაშინ რაღას იტყვით.

— თუ აქამდის არავინ გასრისეს, იმედია—ამის შემდეგაც არა მოხდება-რა.

— როგორ არ გასრისეს, ამბობენ,

### თბილისი, 1 აგვისტოს.

სოფლის ყრილობებს ერთი დიდი უფლება აქვთ მინიჭებული. მათ შეუძლიანთ, თუ ორი მესამედი ყრილობისა მოინდომებს, რომელი წევრიც უნდა იყოს სოფლის საზოგადოებისა, მავნებელ ყოფა-ქცევისათვის სოფლიდამ განდევნონ და ციმბირში გადაასახლებინონ. ჩვენ საზოგადოდ ვეწინააღმდეგებით დამნაშავეთა ერთის ადგილიდამ მეორეზე გადასახლებას, რადგან, თუ ეს თითონ დამნაშავესთვის სასჯელად უნდა ითვლებოდეს, არა ნაკლებს სასჯელს შეადგენს იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც გარყვნილი და ცუდის ყოფა-ქცევის წევრი ემატება, მაგრამ ჩვენ ჯერ შორსა ვართ იმ იდეალურს განწყობილებასთან, როდესაც დამნაშავეთათვის პენიტენციალურ წესზედ გამართული ფერმები და სამუშაო სახლები იქნება; ჯერ ნამდვილ ფაქტთანა გვაქვს საქმე და ეს ფაქტი ივე გვეუბნება, რომ ყოველ სასტიკს დამნაშავეს სასჯელად ციმბირში გადასახლება მოელისო.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვინც სოფელს ზემოხსენებული უფლება მისცა, იმ თქმულობით ხელმძღვანელობდა, რომ ხმა ერისა, ხმა ღვთისა არისო; და რაკი მთელს სოფელს რომელიმე პირი ისე აუთვალწუნებია, რომ ციმბირში გასაგზავნად აღარა ზოგავს, ამ გვარი პირი მართლა მავნებელი წევრი უნდა იყოს საზოგადოებისა და სასამართლოში საქმის წარმოება საჭირო აღარ არისო.

დიახ, თეორიულად ასეა, მაგრამ ხშირად ნამდვილად საქმე სულ სხვა სახეს მიიღებს ხოლმე. ვინ არ იცის, რა მნიშვნელობა აქვს სოფლებში სხვა-და-სხვა შეძლებულ „თავ-კაცებს“. თავი-კაცი ხშირად მთელს სოფელს ატრიალებს; ზოგი ნათლი-მამათა ჰყავს მოკიდებული, ზოგზე ფული აქვს გასესხებული, ზოგისათვის მამული საღალოდ მიუცია, ერთის სიტყვით თითქმის ყველასთან, მეტადრე პატარა სოფლებში, რაიმე კავშირი და დამოკიდებულება აქვს. ამ თავ-კაცს შეუძლიან რომელიმე თავისი მტერი არ დაზოგოს, საციმბიროდ გამოიმეტოს და თავის მოკავშირეთა დახმარებით სოფელს იმის ცუდ-კაცობაზედ ორის მესამედის ხმის უმეტესობით განაჩენი შეადგენინოს. მართალია, ხალხი ისე უცქერის ციმბირს, ისე საზარელ სასჯელად მიაჩნია იქ კაცის დაკარგვა, რომ ბევრი პირველში ვერ გაჰბედავს და თავის სინიდისს ვერ შეაფურთხებს, რაც უნდა თავ-კაცისაგან დავალებული იყოს; მაგრამ ყველაფერი შეჩვევაზეა: ძველად იცის რა საძნელოდ მიაჩნდა ჩვენს კაცს სასამართლოში ფიცი და მეტადრე ცრუ-ფიცი; ეხლა კი რამდენია ხალხში იმისთანა, რომელთაც ცრუ-ფიცი თავიანთ ხელობად გაუხდიათ. უსინდისო განაჩენზედ ხელის მოწერაც ასე შეიქნება.

გადაათვალიერეთ დღევანდელი კორესპონდენცია ქავთისხევიდამ და დააკვირდით ერთის ამ გვარის განაჩენის ამბავს. მთელი სოფელი შესჩივის მაზრის უფროსს შინაურ ქურდებზედ და ასახელებს ორს კაცს, რომელთაც დასჯის ღირსათა სცნობს; მაგრამ, როცა მაზრის უფროსი მიიწვევს განაჩენის შესადგენად, ხალხი შეედრკება, ქართველური სიბრალული გულში გაუღვივებს... ბოლოს, ერთის კაცის სიტყვით წაქეზებული, იგრიალებს და კალიასავით მიაწყდება განაჩენს ხელის მოსაწერად.

«სხვისა ჭირიო, ღობეს ჩხირიო», ნათქვამია და მართლა რომ სხვის ჭირის შეჩვევა ადვილია. ჩვენ გვეშინიან, ვაი თუ ჩვენი ხალხი ისე შეეჩვიოს ცუდ-უბრალოზედ თავის მოძმის ციმბირში გზავნას, რომ რომელსამე მოთავე კაცთან «ვარხალალოს» ძახილის შემდეგ გაემგზავროს ხოლმე სოფლის მოედანზედ განაჩენის შესადგენად და მოთავე კაცისათვის უსიამოვნო პირის ციმბირში გასასტუმრებლად.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, გორის მაზრის უფროსი თავის მაზრაში დადის და სხვათა შორის ამ გვარს განაჩენებს ადგენინებს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ გორის მაზრის უფროსი ხალხის სიკეთის გულისათვის მოქმედობს, მაგრამ დიდი გაფთხილება და წინ-დახედულობა უნდა... ჩვენ ვარჩევდით, ეს წესი ისე შეცვლილიყო, რომ რაც შეიძლება მეტი ხმა ყოფილიყო საჭირო სოფლის წევრის საზოგადოებიდამ განდევნისათვის, ვთქვათ სამი მეოთხედი ყრილობისა, ოთხი მეხუთედი, თუნდ კიდევ მეტი. ეს დროებითი ზომა იქნებოდა. ამას გარდა საჭიროა ზრუნვა იმაზედ, რომ ის ხალხი, რომელსაც ესოდენი უფლება აქვს ხელში, ზნეობითაც ისე მაღლა დადგეს, რომ უფლება ზნეობრივს პასუხის გებას შეაფეროს...

### ახალი ამბები.

≈≈ ეს ოთხი დღეა, რაც თბილისში უეცრად ჰაერი შეიცვალა: არამც თუ საღამოობით, შუადღისასაც ისე გრილა, რომ სეკტემბრის დღეებს მოგვაგონებს. შესანიშნავი ეს არის, რომ ეს ამინდის შეცვლა უწვიმრად მოხდა.

≈≈ აბაშიდამა გვწერენ: ჩვენს დაბაში ხუთასამდე მცხოვრებია და ამოდენა ხალხმა თითო მანათიც რომ გამოიღოს წელიწადში, სკოლის შენახვა შეუძლიან. იყო კიდეც ხშირად ლაპარაკი სკოლის გამართვაზედ, და აი ექვსის წლის მოლ[illegible] შემდეგ ძლივს მოევ[illegible], მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ეხლაც კიდევ სოფელში განხეთქილებაა სკოლისათვის ალაგის ამორჩევაზედ; უმეტესს ნაწილს შუა-სოფელში უნდა, სადაც ჰავაც კარგია და წყალიც, მაგრამ უმცირესს ნაწილს და მასთან ერთად სკოლების დირექტორსაცა სურს, რომ სკოლა გაიმართოს საჯავახოის სტანციასთან, რომლის მახლობლად ათი კომლიც არა სცხოვრობს აბაშის საზოგადოებისა. ეს მითომ იმიტომ უნდათ, რომ სარევიზიოდ მოსულ პირთათვის უფრო მარჯვე იქნება, მაგრამ რევიზიის გამკეთებელნი წელიწადში ერთხელ მოვლენ და ბავშვებმა კი ყოველ დღე უნდა იარონ. მამასახლისმა რაპორტით მოახსენა მაზრის უფროსს სოფლის მოლაპარაკება ამ საგანზედ და იმედი გვაქვს, რომ იქ გამართვენ სკოლას, სადაც უმრავლესობასა სურს.

≈≈ დაბა ბაღდადიდამ გვატყობინებენ, რომ იმის ახლო-მახლო თავის მოკვლა და სხვა ამისთანა უბედური შემთხვევები ძალიან გახშირებულა. სხვათაშორის, 23 ივლისს, ს. ხევგანს, ერთის ვაჭრის შვილს თვრამეტის წლის ყმაწვილს, ტრიფონ გორგოძეს, ეზოს გარეთ თავი ჩამოურჩენია თოკით. მიზეზი თავის ჩამოღრჩობისა ჯერ არ ვიცითო.

≈≈ ამას წინად გაიხსნა გზა ს. ჩალაუბანზედ, რომელიც თელავში მიმავალ ფოსტის გზას მოკლეთა სჭრის ერთის სტანციით, რადგან სიღნაღსა სცილდება. სოფელი ჩალაუბანი აქამდის სრულიად მიყრუებული იყო და ბევრ-გვარი უწესოება ბუდობდა და დღესაც ბუდობს იქ. ერთი იქაური მცხოვრები გვწერს, რომ კარგი იქნება ეხლა მაინც, რო-

---

ერთი ძროხა გაიტანაო და ერთიც ცხენიო, —გაერია ლაპარაკში ვიღაცა გამხდარი ყმაწვილი კაცი. სიგარიანმა ამაყად შეხედა; მოსაუბრის ჩაცმულობა ამტკიცებდა, რომ იმისთვის ბედს არ გაეღიმა და ისიც ლუკმის მაძებარი უნდა ყოფილიყო. სიგარიანმა ამაყად ჩაიცინა და მხრების აწევით უპასუხა:

— საკვირველი საქმე მომხდარა, თუ ძროხა და ცხენი გაუჭყლეტია!

— ნება მიბოძეთ... როგორ თუ საკვირველი საქმე მომხდარა?!. ისნება იმის პატრონს იმის მეტი არა ჰყანდა-რა?.. იმით ირჩენდა თავს, ინახავდა ცოლ-შვილს?

— ეგ სულ ქალაქის ჭორია, უბრალო ჭორი, გადაწყვეტით წარმოსთქვა სიგარიანმა.

— სულაც არ არის ჭორი.

— გეუბნებით ჭორია, აიზრიზა სიგარიანი.

— არ არის მეთქი ჭორი, —ამტკიცებდა გამხდარი.

— ჭორია, ჭორი!..

ყმაწვილმა კაცმა პასუხის მიცემა ველარ მოასწრო, რადგან მტვენა მოისმა. ვაგონები გაჩერდენ და ხალხი ყაყანით და ხმაურობით გადმოეშურა თავიანთ ადგილებიდგან.

სიგარიანისა და ყმაწვილის კაცის ბაასი ვერ გადაწყდა, ვერ გავიგეთ, ვინ გაიმარჯვებდა იმათში.

### II

მატარებელმა დაიგვიანა; სამის ნახევარზედ მოვიდა.

— ასე მობძანდით, ასე.. საფრანგეთის სასტუმროში საუკეთესო ნომრებია!.. ევროპაში, ევროპაში! იპატიჟებდენ ბიჭები.

— რა რიგათა ბნელა! ჰკიოდა ერთი ქალი. —მიშა, მარი!.. სადა ხართ?

— აქა ვარ, დედა, აქა... ვაგონიდგან ველარ გამოვსულვარ... სქელი კაცი კარებში გაიჭედა. ახ!. დაიკივლა ერთბაშად მაშომ და მიუბრუნდა უკან მდგომს კაცს. —როგორ გაბედეთ?

— არა უშავს-რა, მშვენიერო! მოისმა დამთვრალის კაცის ხრინწიანი ხმა. —გაკოცე, სხვა ხომ არა დამიშავებია-რა?

მაშოს შეეშინდა და მიიკუნჭა კედელთან. გალოთებული კაცი-კი მაინც არა მშვიდდებოდა.

— სწორედ «პირველის ხარისხის» მშვენიერი ბძანდებით.

სქელი კაცი კარებში გაიჭედა, რადგანაც ურიცხვი ჩემადნები, რომლითაც დატვირთულიყო, ნებას არ აძლევდენ—თავი დაეხსნა...

— საით უნდა წავიდეთ? კითხულობდა ჩალის—შლიაპა თავზედ მოგდებული, კოხტად ჩაცმული ქალი.

— აი ასე, ასე მობძანდით. უჩვენა ვოგზალზედ კავალერმა და მიუშვირა ხელი. —ხელი მიბოძეთ, თორემ დალმართია და ამასთან ქვიშიანი ალაგი, შეიძლება—წაიქცეთ.

— ეს არის ვოგზალი? ქალმა ხელით უჩვენა ერთ-სართულიან, უშნო შენობაზედ, რომელიც თეთრად იყო შეღებილი.

— დიახ, ეს გახლავთ.

— მერე ბათუმელებს არა გრცხვენიანთ?.. არც წესიერი პლატფორმა გაქვთ, არც ვოგზალი?

ქალმა წაიბორძიკა და გაჯავრებით დაიძახა:

— ეშმაკმა წაიღოს თქვენი ქალაქი, კაცი ფეხს მოიტეხს!.. ერთი ბეწო მაინც გაენათებინათ, თორემ ორიოდე ფარანი რას იზამს!

— ძალას ვინ გატანთ, რომ გძელ ქუსლებიან ბაშმაკებს იცვანთ? უპასუხა ღიმილით კაცმა და დაუმატა: —მაგრა დამეყრდენით ხელზედ, ნუ გეშინიანთ.

ქალი ნაზად, მაგრამ გრძნობიერად დაეყრდნო მკლავზედ. იმ დროს ფეხი შესდგეს ვოგზალში და ქალმა ერთბაშად დაიყვირა, მიანება კაცს თავი და ცხვირზედ ხელი მოიჭირა.

— რა ამბავია, რა ამბავი? მიეშველა კაცი.

— ჩქარა გამიყვანეთ, დავიღრჩე!

კაცმა მოავლო ხელი და სირბილით წაიყვანა, მაგრამ საუბედუროდ ოთახები გძელი იყო და ქალმა ისე გასვლა ვერ მოასწრო, რომ ერთხელ სული არ ამოექცივა. ამოისუნთქა და თაბრუ-დახვეული მიილუბა კავალრის მკლავებზედ, რომელმაც მიიკრა გულთან და ისე გაიტანა გარეთ.

მართლათაც ისეთი სუნი ტრია-

ცა გზა გაგვეხსნა, მოექცეს ყურადღება იმ უწესოებას, რომელსაც მშვენიერი და მდიდარი სოფელი თითქმის ერთისა და ორის შეძლებულის კაცის ყმად გაუხდიათ. საქმე ის არის, თურმე, რომ ამ სოფელში სცხოვრებს ერთი შეძლებული გლეხი დ. ნ-ლი, რომელიც აქამდის მწერლად ითვლებოდა, ეხლა მოსამართლეობაც მისცეს და ამით მთელი სოფელი დაბრიყვებული ჰყავსო. არა ერთი და ორი მაგალითია იმისაგან სოფელში ჩხუბის ატეხისა და ცემა-ტყეპისა. ერთს ქალს ჩხუბში დამბაჩა მოარტყა და საუკუნოდ დაამახინჯაო, ერთი კაცი ჩხუბში ისე გალახა, რომ სიკვდილის კარამდის მიაღწევინაო და ეს ჩალაუბნელი რაინდი დღესაც თან მწერლობს, თან სოფელს ასამართლებსო.

—— ახალ-სენაკიდამა გვწერენ: ამას წინად ერთმა მდიდარმა ვაჭარმა ქრისტეფ. ხუმარაძემ რომელიც დეპუტატად იყო გაგზავნილი ხელმწიფე იმპერატორის დაგვირგვინებაზე, ჩვენს რკინის გზაზედ დაჰკარგა ვაგონში მოსკოვიდამ წამოღებული ჩემოდანი, რომელშიაც, იმის სიტყვით, ბევრი ძვირფასი ნივთები ეწყო და 500 მან. ფული. მდიდარის კაცის დანაკარგმა ფეხზე დააყენა როგორც ახალსენაკის პრისტავი, ისე გამომძიებელი და ეჭვი აალებინა ერთს ვისმე ნორაკიძეზე, რომელმაც, რამდენიმე მოწმის სიტყვით, დაკარგული ჩემოდანი გაატარა ახალსენაკის ერთს სასტუმროსთან. გამომძიებელმა ნორაკიძე დაატუსაღა დასაქმე შეაჩერა, თუმცა ბრალდებულს ეთხოვენა, რომ მოწმებისათვის წარედგინა გამომძიებელს ის ნივთი, რომელიც მას მართლა მიჰქონდა და რომელიც ჩემოდანი კი არ იყო, საკ-ვოიაჟი იყო. გამომძიებელმა არაფერი ყურადღება არა მიაქცია-რა ნორაკიძის სიტყვებს; მაგრამ იმუშავა ნორაკიძის ბედმა, დროებით სენაკის გამოსაძიებელი საქმეები ჩაბარდა ბ. ბერიძეს, რომელსაც მოწმებმა ერთხმივ დაუმტკიცეს ნორაკიძის სიმართლე და ის რომ მართლა მას თავის საკვოიაჟი მიჰქონდა და არა ხუმარაძის ჩემოდანი. ყველა კარგი, მაგრამ რითი აიხსნება ბბ. პრისტავისა და გამომძიებლის ასე თავ-გამომეტებულად დამნაშავის ძებნა?!

—— სიღნაღიდამ სწერენ გაზ. «კავკაზს», რომ დედოფლის წყაროს ფოსტის კანტორაში ფულის ზანდუკი გაუტეხნიათ და 16,000 მან. დაკარგულა. ამ საქმეზედ დაჭერილია თურმე კორესპონდენციების მიმღები ჩინოვნიკი და ორი ფოსტალიონი.

სიღნაღის მაზრაში თუმცა საშინელი სიცხეები და გვალვაა, მაგრამ ამგვარის ამინდის წყალობით მკა და ლეწვა რიგზე ყოფილა და პურსაც გამოსავალი კარგი ჰქონია.

## «დროების» კორესპონდენცია.

ს. კავთისხევი, 19 ივლისს. გადმოხედა ღმერთმა გორის მაზრას და მის მაზრის უფროსად დანიშნეს ერთი წარჩინებული და განათლებული ახალგაზდა გვამის თ. ა. ამილახვარი, რომელმაც საჭიროდ დაინახა—შემოევლო თავის ახლად ჩაბარებულის მაზრის სოფლები; დაეშინჯა სასამართლოები და შეეტყო ყოველივე საჭიროება და გარემოება ხალხისა. თითქმის ყველა სოფლის საზოგადოებამ ერთ-ხმად შეჰღავლა თავის გაჭირება შინაურ ქურდებისგან და სთხოვდა მათის ხელიდგან გამოხსნას. მაგალითად ს. კავთისხევში, სადაც მეც თითონ დავესწარი 9 ივლისს, მაზრის უფროსმა დაიბარა პირველად სოფლის მსაჯულები თავის მწერლით, გაშინჯა მათი საქმის-წარმოება და მისცა როგორათაც შენიშვნა, ისე მამობრიული დარიგება; ბოლოს სთხოვა, რომ ამის შემდეგ რიგიანად და კანონიერად ეწარმოებინათ საქმეები და გამოუცხადა, თითქმის ყოველ წლივ საქმეების წარმოებას გავსინჯავო. აქ დიდი ყურადღება მიაქცია ერთს ფაკტს, სადაც მსაჯულებს მოვალესთვის სარგებელი თუმანზედ თორმეტი აბაზი ეანგარიშნათ (20%.) ამ გარემოებით შეწუხდა მაზრის უფროსი და გამოუცხადა, რომ კვლავ აღარ გაბედნათ ამისთანა უკანონო მოქმედება და თუ ამისთანა საქმეს შეხვდრილიყვნენ — ეანგარიშნათ თუმანზე სარგებელი სამი აბაზი (6%.). შემდეგ შესდგა ყრილობა კავთისხევის საზოგადოებისა. აქ ბ. ამილახვარმა მოკლე სიტყვა სთქვა, რომლითაც, სხვათა შორის, სთხოვდა ხალხს, რათა მათ წარმოეთქვათ ყველა თავიანთი შევიწროება და გაჭირება და აგრეთვე ამის მიზეზები. ხალხმა ერთ-ხმად შეჰღავლა: «ბატონო, სხვა შევიწროებას და ხარჯებს ჯანი გავარდეს, როგორაც იქნება გაუძლებთ, მაგრამ ამ შინაურ ქურდებს ველარ გავუმაგრდით, — იმათ კარგად იციან, სად რა გვაქვს, ან ღვინო, ან საქონელი, ან გუთნის იარაღი და არაფერს გვიყენებენ.» მაზრის უფროსმა ამაზედ ხალხს უთხრა: «დამისახელეთ ის პირნი რომელნიც აგრე დაუნდობლათ ექცევიან საზოგადოებას; თქვენ შეგიძლიანთ იმაზე შეადგინოთ განჩინება და თქვენის საზოგადოებისგან გაამეოთ.» ამაზედ ხალხი შეფიქრდა, თითქო ქართველურმა შებრალების ელვამ გაუარა გულში... «როგორ დავკარგოთ მეზობელიო»... დიდხანს იყო ხალხი ამ ტორტმანში. «შენი ჭირიმე—ბოლოს წამოიძახა ერთმა გლეხმა: ათასი დავმალოთ, ათასი შევიბრალოთ—ბოლოს როცა ჩვენს ქონებას გაანადგურებენ და ჩვენც მიწასთან გაგვასწორებენ, არც მაშინ ვიტყვით!?» მერე მიუბრუნდა ხალხს: «ხალხო! ისევ სჯობიან გამოვაჩინოთ ჩვენი დამღუპველნი, ორი და სამი კაცის დაღუპვა სჯობს მთელი სოფლის დაღუპვას. [illegible] მე გასახელებ ორს ქურდს: მიხა მონასელიძეს და ქსოვრელს, რომელნიც ისე, არიან ბატონო, წაქეზებულნი ზოგიერთა მოსარჩლე პირებისაგან, რომ შუადღისას მარნებსა სტეხენ, სახლებში გვიცვივიან და ხალიჩებსა გვტაცებენ, ცხვრებს იპარამენ და ვენახებში ხოცვენ. ერთი მათგანი ეხლა ქალების მოტაცებასაც გვიქადის». ორის წუთის წინად ჩაჩუმებულმა ხალხმა, ეხლა მღელვარებით შეჰღავლა: «მართალია, შენი ჭირიმე, მართალია, უნდა დაიღუპნენ», ამის შემდეგ შეუდგნენ განჩინების შედგენას ქურდების გადასასახლებაზედ. დიდი ფაცა-ფუცი შეუდგათ ვისაც ცოტა რამ ხინჯი ჰქონდა გულში, აქვე გააქან-გამოაქნიეს გუდები, სადილებზედ მიწვევ-მოწვევა გაუმართეს როგორც გავლენიან კაცებს, ისე მამასახლისს, რომ იმათი სახელიც არ მოქცეულიყო ამ განაჩენში. მანამ ხალხი განაჩენზედ ხელს მოაწერდა მაზრის უფროსმა ინება სკოლის გაშინჯვა, სადაც თვით მასწავლებელი და კომიტეტის წევრნი გაუძღვნენ. ჯერედ გაშინჯა შენობა, შემდეგ მოითხოვა ანგარიში კომიტეტისაგან შედგენილი—თუ რა დაიხარჯა შენობაზედ. ანგარიშის შემდეგ კომიტეტის წევრებს მადლობა გადაუხადა და უთხრა: «თუმცა შენების დროს ბევრს გაჭირებას და ლანძღვა-გინებას შემოგითვლიდა უგუნური ხალხი, მაგრამ კარგად იცოდეთ, რომ ყველა ეგ ჩაივლის, დავიწყებას მიეცემა და თქვენ კი დაგიდგავთ დაუვიწყარი ძეგლი. ყოველი ყმაწვილისათვის, რომელიც კი მიიღებს სწავლა-განათლებას ამ სასწავლებელში, დაუვიწყარი იქნება თქვენი სახელი.» მაზრის უფროსმა მოინდომა აგრეთვე შეგირდების ნახვა და გაკვეთილებზედ დასწრება, მასწავლებელმაც აღუთქვა მეორე დღისთვის შეგირდების შეკრება, რადგანაც იმ დღეს გვიანღა

---

ლებდა ამ ვოგზალში, თითქოს მთელის ქვეყნის უწმინდურება აქ მოუგროვებიათო.

ვინც-კი შედიოდა, ოთახში რაკი ფეხს შესდგამდა, გიჟსავით მეორე კარისკენ გარბოდა, რომ ჩქარა ასცდენიყო უსიამოვნო და მოწამლულს აყროლებულს, ჰაერს...

### III

დილაა. რკინის გზით წამსვლელები მიეშურებიან აყროლებულს ვოგზალში, სადაც ტამოჟნის ჩინოვნიკებმა უნდა ამოფუტკნონ რიგზედ ჩალაგებული ჩემადნები.

ვოგზალი გაივსო. ჩინოვნიკები რალაც გაცოფებით დეეძებენ, რომ ანცხვირ-სახოცი არ გაიტანოს ვინმე, ან აკვანი, ან სამოვარი. საზოგადოება ეხვეწება—ჩქარა გაუშინჯონ ჩემადნები, მაგრამ ტამოჟნელები თითქოს შესჩვევიან ამ სიმყრალეს. ისინი არ აშურებენ და მთელი საათობით ალაპარაკებენ წამსვლელს იმაზედ, რომ სამოვარი, რომელსაც აწერია ტულა (რუსეთის ქალაქია), რუსეთშია გაკეთებული და შეიძლება უბაჟოდ გაშვება თუ არა? საქართველოში გაკეთებული ქართული აკვანი ფილადელფიის გამოფენიდამ ხომ არ არის მოტანილი და სხვა.

ყველა ჩივის, ყველას ცხვირი უჭერია, ყველა იფურთხება.

— ბატონებო, კარგს დარში ბარგი გარეთ მაინც გაშინჯეთ ხოლმე, თორემ სუნმა დაგვახრჩო.

— უკაცრავად, რომ რჩევის დროს თქვენ არ მოგიწვიეთ,—გააწყვეტინებს სიტყვას ვიღაც ჩინოვნიკი, რომელსაც ქუდი უკან გადაუტკლეცია, თითქოს სამუშტიკრიოდ ემზადებოდეს.

— არა, ჩემო ბატონო, არა.. მე ხომ საწყენი არა მითქვამს რა? შეშინდა მოსაუბრე და მიდგა უკან.

— მაშ თქვენის რჩევით რას ეჩხირებით?.. თქვენ ვინა გკითხავთ.

— მე... მე არაფერი... სუნმა შემაწუხა ცოტა, თორემ ვინ რას ამბობს.

— აგერ ადგილი, მიდით და თქვენს რიგს მოუცადეთ...

— ბატონი ხარ, ჩემო მეუფევ, ბატონი,—თავის დაკვრით უკან წადგება საცოდავი, რომელსაც ვერც ჩემადნისთვის დაუნებებია თავი და ვერც მყრალის სუნისთვის გაუძლია...

შემოდის აჭარელი, იღლიაში რალაცა ამოუჩრია.

— ეგ რა არის—დაუყვირებს ტამოჟნის სალდათი.

— ჩემთვის საპერანგე,—მშვიდობიანად უპასუხებს მგზავრი.

— ჰაიდა!—რუსი ხელს გაუქნევს.

— რას ამბობ?—ვერ გაუგია აჭარელს.

— ფულს უნდა გაუსწორდე, ბაჟი მისცე. აუხსნიან იმას.

— რად უნდა მივცე, გასასყიდად ხომ არ მიმაქვს,—უკვირს კაცსა.

— ხა, ხა, ხა, ხა!—იცინის ვიღაცა ჩინოვნიკი.—ღმერთო ჩემო, რა სულელია ეს ხალხი! წადი იქით, დაუბარტყუნა ფეხები საცოდავს.

ამავე დროს, ვიღაცას, უეჭველია, ძალა—მქონებლის, ჩემადანს სინჯამენ. მსუბუქად და ფთხილად ეპყრობიან გასპეტაკებულს პერანგებს და დანარჩენს საცვალს. ყველა ამჩნევს, რომ ამას მხოლოდ თვალთათვის სინჯავენ.

— აგი, ბატონო—გახამებულ პერანგებზედ უჩვენებს აჭარელი.

— რა არის?

— მაგას რაღად უშვებთ, მაგას უფრო ბევრი პერანგები არა აქვს?

— დაიკარგე აქედგან!—დასჭყივლეს საცოდავს.

— წავალ, რად მიწყრებით?—გადაფურთხებით ამბობს აჭარელი და ფერი ეცვლება.

— მაშ არ გამატანთ?—ცოტა სიჩუმის შემდეგ კიდევ კითხულობს.

— არა.

— არა?

— არა.

— მაში თუ არა,—რაღაცა გაბრაზებით დაჰკრავს საპერანგეს ხელს და დაუწყებს ლუკმა-ლუკმა ხევას.

პირისახეზედ ეტყობა, რომ მის გულში ღრმად ჩაიბეჭდა ტამოჟნელების საქციელი და ეცდება, რითიც იქნება და როგორც იქნება, გადაუხადოს.

(შემდეგი იქნება).

იყო. მეორე დღეს დილით ათ საათზედ უმაწვილები სამოც-და-ათამდე ქალი და ვაჟი შეიკრიბნენ და მაზრის უფროსი დაესწრო ორს გაკვეთილზედ—არითმეტიკისა და გეოგრაფიისაზე. ამ გაკვეთილებზედ ჰკითხა ქართულის და რუსულის ენიდამაც. რამდენიმე ლექსი წააკითხა ქალებს და ვაჟებს და როდესაც მთელმა კლასმა იმღერა «დილის ნამი», დიდად მოეწონა და იკითხა, თუ რომელ კილოზედ არის იგი შედგენილი. ბოლოს მასწავლებელს უთხრა: «ვეცდები ყოვლის ღონისძიებით, რაც კი საჭირო იქნება თქვენი სკოლისთვის და მთხოვეთ, აგისრულოთ».

ღმერთმა ჰქნას, რომ ბ. ამილახვრის ენერგიულს დასაწყისს ბოლოც კეთილი მოჰყვეს.

## რუსეთი

— პოლტავიდამ იწერებიან, რომ იქ ხოლერის შიშის გამო ხესვის და სამზამთროების გაყიდვა აკრძალულია. ყველა ეზოებს დეზინფექციით ასუფთავებენ.

— ზმებია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუნიშნავს განსაკუთრებითი პირი ამას წინად ეკატერინოსლავში რომ ებრაელების წინააღმდეგ არეულობა იყო, იმის გამოსაკვლევად.

— ამავე საქმის შესახებ იწერებიან რუსულ გაზეთებში, რომ უწესოების დროს მომკვდარა ათი კაცი, 13 დაჭრილი და 373 დაუტყვევებიათ. ხალხი მალიან აღელვებულია თურმე.

— ამ 1883 წელს პეტერბურგის საქიმიო აკადემიაში გაიხსნება პირველი კურსი, რომელზედაც ყოველს წელს 300 სტუდენტი უნდა იყოს—100 სახელმწიფო ხარჯზედ და 200 თავიანთ ხარჯზე. ამ უკანასკნელებმა ხუთ-ხუთი თუმანი უნდა აძლიონ წელიწადში. ახლა რუსულ გაზეთებში იწერებიან, რომ სამხედრო სამინისტროს შეუმუშავებია წესები იმის შესახებ, თუ სტუდენტები როგორ მოიქცენ და აკადემიის ინსპექციამ როგორი მხედველობა იქონიოს მათზე. აი ის წესებიც: 1) ყველა სტუდენტებმა უთუოდ ყოველ დღე უნდა იარონ აუდიტორიებში და არც ერთი ლექცია არ გაუშვან მოუსმენელი, თუ, რასაკვირველია, იმისთანა რამ მიზეზი არ შემთხვევათ, როგორც არის, მაგ., ავათმყოფობა და სხვ. 2) სტუდენტებმა ყოველ დღე აკადემიაში მისვლის დროს თავიანთ გვარი და სახელი უნდა ჩასწერონ ამისთვის დადგენილ წიგნში და, ვინც ამ წიგნში არ ჩაეწერება, იმან თავის დროზე უნდა აცნობოს აკადემიის მთავრობას, რა მიზეზით არ იყო ის ამ დღეს ლექციაზე. ეს წესები ყველა სტუდენტებს აკადემიაში შესვლისათანავე დაურიგდებათ და ამასთანავე გამოეცხადებათ, რომ ვინც არ აღასრულებს, ის აკადემიიდამ გამოირიცხება და უფლებაც აღარ ექმნება—შევიდეს ოდესმე კიდევ ამ აკადემიაში.

— გაზ. «Новости»-ში იწერებიან, რომ ფინანსთა სამინისტროს შეუკრებია ცნობები, რომლებიდამაცა სჩანს, რომ რკინის გზებიდამ იმოდენი ფული არ შემოდის ხაზინაში, რამოდენიც კანონით უნდა შემოდიოდეს. ამის მიზეზად ის გარემოება მოჰყავთ, რომ რკინის გზების აგენტებს ხშირად უბილეთოდ მიჰყავთ ხალხი, მესამე კლასის ბილეთიანებს პირველსა და მეორე კლასში სხამენ და თვით რკინის გზის მმართველობანიც ბევრს უკანონოდ აძლევენ უფასო ბილეთებს. ამისთვის ფინანსთა სამინისტროს აღუძრავს კითხვა იმაზედ, რომ კონტროლის პალატების ჩინოვნიკებს, რომელთაც განსაკუთრებით საქმეებს აბარებენ ხოლმე, მიენდოთ—ზედამხედველობა იქონიონ რკინის გზების სახელმწიფო შემოსავალზე.

— პეტერბურღიდამ იწერებიან «Русскій Курьеръ»-ში, რომ იქ რამდენიმე შემთხვევა ყოფილა ხოლერით ავადგახდომისა. ეს შემთხვევები მომხდარა იმ ადგილებში, რომელთაც უსუფთაოდ და ბინძურად ინახვენ,


## განცხადებანი

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—97)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—13)

## სტამბა

ეფთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სიწმინდეზე(?) სიფუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ. სტამბა კისრულობს კორრექტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе.

ინგლისის მაღაზიაში

## თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—16)



## მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის ,,ხელისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისათვის კლიონკები. ტაშტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწყვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტულები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შროტკების თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმიო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაპკი—20 კ. (100—57)


### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 აგვისტოდამ 16 აგვისტომდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის— | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის— | 1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.
რიონიდგან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.
ბათუმიდგან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.

Дозв. цензурою Тифлисъ, 1 Августа 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.